

# წყალდიდობის საინჟინერო-ტექნოლოგიური ადრეული გაფრთხილება და პრევენცია საქართველოში მდინარეებზე კაბალსა და დურუჯზე ყურადღების გამახვილებით

დაწყების თარიღი : 11-04-2014

დასრულების თარიღი: 31-12-2015

## პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიურ დეპარტამენტი:

- შესწავლა/კვლევა სააგენტოს მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის მდინარეებზე: კაბალი და დურუჯი და ალაზნის 12 შენაკადზე;
- მდ. დურუჯსა და კაბალზე და ალაზნის პრობლემატურ 12 მშრალ ხევში პროგნოზირების ტექნოლოგიური ხაზები;
- მდ. დურუჯსა და კაბალზე და ალაზნის ყველაზე მნიშვნელოვან მშრალ შენაკადში ადრეული შეტყობინების ტექნოლოგიური სისტემა;
- შესყიდული იქნება და დანერგული გარემოს ეროვნული სააგენტოში შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა.

## პროექტის შედეგები :

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების ძირითადი შედეგები იქნება:

- აღდგენილ/დაფუძნებული იქნება ჰიდროლოგიური ავტომატური სადგურები მდინარეებზე: კაბალი და დურუჯი და ალაზნის ერთ შენაკადზე (სამი ჰიდროლოგიური ავტომატური მონიტორინგის პოსტი);
- დაინერგება მდინარეებზე: კაბალი და დურუჯი და მათ შენაკადებზე (12) ჰიდროლოგიური საპროგნოზო მოდელი;
- მოდელი უზრუნველყოფს მაღალი გამართლებადობის და გარჩევადობის პროგნოზებს;
- მიღებული პროგნოზების საფუძველზე გამოიცემა საჭიროების და მიხედვით დროული და ეფექტური გაფრთხილებები.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის შესაძლებლობებს მონიტორინგის დარგში, ადრეული გაფრთხილების სისტემის მიმართულებით. დაკვირვებების გაზრდილი წერტილების რაოდენობა მოგვცემს საშუალებას მივიღოთ სარწმუნო და თანამედროვე სტანდარტების საწყისი მონაცემები, რაც საშუალებას იძლევა დროულად მომზადდეს უფრო ზუსტი პროგნოზები და გაფრთხილებები. გადაიდგმება ეფექტური ნაბიჯები სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების კუთხით.

**მიზნობრივი ტერიტორია :** კახეთი

**სფერო :** წყლის რესურსები, კატასტროფები

**დონორები :**

პოლონეთის საერთაშორისო დახმარების ცენტრი (PCPM)

<http://www.pcpm.org.pl>

## **განმასორციელებლები**

**ორგანიზაცია:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

**ტელეფონი:** +995 32 2439501; **ელ-ფოსტა:** info@nea.gov.ge

**მისამართი:** აღმაშენებლის გამზ. №150, თბილისი 0112 საქართველო

**ვებ-გვერდი:** <http://www.nea.gov.ge>

**საკონტაქტო პირი:** ირაკლი მეგრელიძე; ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

**ტელეფონი:** (+995) 32 2439507; **მობ:** (+995) 591404099

**ელ-ფოსტა:** ikakoo@hotmail.com

## **მაილსტონები**

**მაილსტონი:** ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურების ინსტალაცია მდინარეებზე: კაბალი და დურუჯი და ალაზნის ერთ-ერთ შენაკადზე

**სტატუსი:** მიმდინარე

**მაილსტონი:** მდ. დურუჯისა და კაბალისათვის, ალაზნის პრობლემატურ 12 შენაკადისათვის პროგნოზირების ტექნოლოგიური ხაზების დანერგვა

**სტატუსი:** მიმდინარე

**მაილსტონი:** მდ. დურუჯსა და კაბალზე და ალაზნის შენაკადებში ადრეული შეტყობინების ტექნოლოგიური სისტემის დანერგვა

**სტატუსი:** მიმდინარე

**მაილსტონი:** შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დანერგვა გარემოს ეროვნული სააგენტოში

**სტატუსი:** მიმდინარე

**მაილსტონი:** ჰიდროლოგიური პოსტების განლაგების დადგენა მდინარეებზე: კაბალი და დურუჯი და ალაზნის 12 შენაკადიდან ერთ-ერთზე

**სტატუსი:** დასრულებული

## **ბიუჯეტი**

სრული ბიუჯეტი: 125000 USD

სრული გრანტი: 125000 USD